ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5048743

ნომერი: AR1763264

თარიღი : 29.07.2020

გაცემის თარიღი : 31.07.2020

გაცნობის თარიღი : 31.07.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა კორძახია პ/ნ 01006015861
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 21 ბ. 54

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის თანახმად, სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. მათი არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ- მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ კონდიციონერის განთავსების ადგილი და იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ფასადი არ გამოდის ქუჩის მხარეს, კონდიციონერი უნდა განთავსდეს ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით და შეინიღბოს ფასადთან მისადაგებული ერთიანი დეკორატიული ელემენტით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოადგინეთ განახლებული ფოტომონტაჟი.

გარდა ამისა:

1. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი" - ამ ველში თქვენს მიერ ატვირთულია მონტაჟი. უნდა ატვირთოთ დღის შუქზე დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა ხედიდან, მათ შორის შორი მანძილიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, გადაღების თარიღის ფიქსაციით და ასევე წარმოსდგენია ამავე ფოტოზე დამუშავებული ფოტომონტაჟი. გაითვალისწინეთ: "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"–ს და "ფოტომონტაჟი"–ს ველებში ატვირთული უნდა იქნას ერთი და იგივე რაკურსიდან გადაღებული და დამუშავებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი.

2. ფართის ამონაწერი მონიშნულ იქნეს "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ან წარმოდგენილ იქნეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. აღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ დადგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება, გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების დროს, განმცხადებელს წარმოადგენს მიწის ნაკვეთის/შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს შეტყობინებით განსაზღვრული სამუშაოების წარმოების ინტერესი. აქედან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.